სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/232

ქ. თბილისი 5 ოქტომბერი 2018

ალეკო ჯანგველაძის განცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანების და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მხედველობაში იქნეს მიღებული სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის (ამჟამად ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი) ბაკალავრიატის ყოფილი სტუდენტის ალეკო ჯანგველაძის განცხადებაში მოყვანილი გარემოებები და საკითხი განსახილველად გადაეცეს სტუ-ის 2012 წლის 12 მარტის №29 ბრძანებით შექმნილ კომისიას.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე